ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01242631881**
თარიღი: **19/09/2024**

ადრესატი: შპს ენ სი დი ვაშლიჯვარი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405244418
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვალენტინ თოფურიძის ქ., N 29ა

ასლი:

ადრესატი: გუგა გუგუნაშვილი
პირადი ნომერი: 01027079079
მისამართი: ქ. თბილისი, ისანი გარე კახეთის #3

თქვენი 2024 წლის 29 აგვისტოს, 03 სექტემბრის და 11 სექტემბრის (სსიპ ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში „სააგენტო") რეგისტრაციის №19/01242421341-61, №19/01242471004-61, №19/01242552058-61) წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ სააგენტო არ არის წინააღმდეგი მასსა და შპს „ენ სი დი ვაშლიჯვარს" (ს/კ: 405244418; შემდგომში „კომპანია") შორის 2023 წლის 12 დეკემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებით" გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში გადასცეთ ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.72.14.234.013) ასაშენებელი/აშენებული შენობა-ნაგებობიდან კომპანიის მიერ შემოთავაზებული შემდეგი უძრავი ქონებები, ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული მახასიათებლების გათვალისწინებით:

1. ბლოკი 1, სართული 4, ბინა №77 - საერთო ფართობი 103,47 კვ.მ (საცხოვრებელი ფართი 96,84 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 6,63 კვ.მ.);
2. ბლოკი 1, სართული 5, ბინა №103 - საერთო ფართობი 103,47 კვ.მ (საცხოვრებელი ფართი 96,84 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 6,63 კვ.მ.);
3. ბლოკი 1, სართული 6, ბინა №129 - საერთო ფართობი 103,47 კვ.მ (საცხოვრებელი ფართი 96,84 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 6,63 კვ.მ.);
4. ბლოკი 1, სართული 7, ბინა №155 - საერთო ფართობი 103,47 კვ.მ (საცხოვრებელი ფართი 96,84 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 6,63 კვ.მ.);
5. ბლოკი 1, სართული 5, ბინა №91 - საერთო ფართობი 74.01 კვ.მ (საცხოვრებელი ფართი 65,13 კვ.მ. და საზაფხულო ფართი 8,88 კვ.მ.).

შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების 2.2 პუნქტის თანახმად, წინამდებარე წერილით გამოხატული თანხმობის გაცემის თარიღიდან **არაუმეტეს 3 თვის ვადაში** კომპანიამ უნდა უზრუნველყოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ზემოხსენებულ უძრავ ქონებებზე **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში** (მათ შორის, რაიმე შეზღუდვის/აკრძალვის/ვალდებულებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში).

ამასთან, 01.72.14.234.013 საკადასტრო ერთეულზე, ხელშეკრულების 2.5 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ რეგისტრირებული ვალდებულება (რეგ. №892023379269) არ ვრცელდება პროექტით შეთანხმებულ ინდივიდუალურ ბინა-ერთეულებზე.

დამატებით შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, ს/კ: 01.72.14.234.013

რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ პირველად გაცემული მშენებლობის ნებართვის მოპოვებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადაში, კომპანიას სააგენტოსთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია მისთვის გადასაცემი საცხოვრებელი ფართების რაოდენობის, ფართობის (ჯამურად არანაკლებ 478,4 კვ.მ) და შენობა-ნაგებობაში მათი ადგილმდებარეობის შესახებ. ამასთან, სააგენტოსთვის გადასაცემი ფართების (ჯამურად არანაკლებ 478,4 კვ.მ) შერჩევისას, ხელშეკრულების 3.6 პუნქტის მიხედვით, გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სახელშეკრულებო დათქმა - აივნის ფართი არ უნდა აღემატებოდეს სააგენტოსთვის გადაცემული ინდივიდუალური საცხოვრებელი ფართის (ჩათვლას დაქვემდებარებული) 10%-ს (წინააღმდეგ შემთხვევაში, აივნის დამატებითი ფართი სააგენტოს გადაეცემა უსასყიდლოდ).

ვინაიდან, ს/კ: 01.72.14.234.013 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მშენებლობის ნებართვა პირველად გაიცა 2023 წლის 22 დეკემბერს, კომპანიას **არაუგვიანეს 2024 წლის 22 იანვრისა** სააგენტოსთვის უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია მისთვის გადასაცემი ფართების (ჯამურად არანაკლებ 478,4 კვ.მ) შესახებ, ხელშეკრულების 3.6 პუნქტით გასაზღვრული დათქმის გათვალისწინებით, რაც **ჯეროვნად შესრულდა ვადაგადაცილებით - 2024 წლის 11 სექტემბერს**. შესაბამისად, ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად კომპანიას **2024 წლის 23 იანვრიდან 2024 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით** პერიოდზე დაეკისრა პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე 100 ლარის ოდენობით, **ჯამში 23 300 ლარი**.

გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაკისრებული პირგასამტეხლოს (23 300 ლარი) გადახდა შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

ანგარიში: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22

საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773287

დამატებით შეგახსენებთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა, მათ შორის ხელშეკრულების 2.2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების, შეუსრულებლობის ან ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში ხელშეკრულება ითვალისწინებს პირგასამტეხლოს.

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი